# გოეთე და საქართველო

**გოეთეს** საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების თაოსნობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო დიდი გერმანელი მწერლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებით „ჰაინეს მიმართება გოეთესადმი", გამოვიდა გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ლაშქარაძე. თემაზე „დრო გოეთეს ფაუსტში" ისაუბრა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა კახა კაციტაძემ. „გალაკტიონი და გოეთე" — ამ საკითხზე იმსჯელა, პარალელები მოიძია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნოდარ კაკაბაძემ. კონფერენციის მონაწილენი მიესალმნენ იმ ფაქტს, რომ გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილება, ახლო მომავალში, თავის ფილიალს აამოქმედებს ქალაქ ფოთში.

კონფერენციის ერთგვარი მუსიკალური გაგრძელება იყო მეორე დღეს დავით ალმაშენებლის გამზირზე, კამერული მუსიკის დარბაზში გამართული გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების წევრის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მანანა პაიჭაძის (მეცოსოპრანო) სოლო კონცერტი. მან გერმანულ ენაზე შეასრულა ტელის, სტრადელის, სკარლატის, კასინის, ბრონიჩინის, ჩიმაროზას, გლუკის საოპერო არიები და რომანსები. სოლოს ფლეიტაზე უკრავდა დავით ოძელაშვილი, კონცერტმაისტერი იყო ირინე გორგაძე.

**მზია მეზალიშვილი**

SOVLAB